

შპს დი და ჯი

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 5

მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 6

კაპიტალის ცვლილების ანგარიში 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 8

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს დი და ჯი და მისი საქმიანობა.....	9
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	12
4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები.....	20
5. შემოსავალი.....	21
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
7. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	22
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
9. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	23
10. ძირითადი საშუალებები	24
11. გაცემული სესხები	25
12. მარაგები.....	25
13. ფული და ფულის ექვივალენტები.....	25
14. კაპიტალი.....	25
15. აღებული სესხები	26
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
17. პირობითი ვალდებულებები	27
18. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	28
19. ფინანსური ინსტრუმენტები	28
20. შემდგომი მოვლენები	32

მმართველობის ანგარიშგება33

შპს დი და ჯი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „დი და ჯი“-ს (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ ცანავა

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დი და ჯის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2019 წლის 15 ოქტომბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2018 წლის დასაწყისში და ბოლოს ჩატარებული მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 3,994, 4,864, 3.339 ათასი ლარის ღირებულებებით, შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხაში, რაც ასევე გავლენას ახდენს საბოლოო აკუმულირებული მოგების ოდენობაზე.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე მმართველობის ანგარიშს არ მოიცავს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ.

აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ საადრიცხო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს "ემუარენს ენდ ქონსალტინგ გრუპ"-ის სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

შპს დი და ჯი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	5,407	5,666
არამატერიალური აქტივები		132	89
გაცემული სესხები		100	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,639	5,754	5,857
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	3,994	4,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		306	189
წინასწარ გაწეული ხარჯები		106	1
საგადასახადო მოთხოვნები		244	16
ფული და ფულის ექვივალენტები	13	216	232
სულ მიმდინარე აქტივები	4,865	5,304	3,787
სულ აქტივები	10,504	11,058	9,644
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		(4,112)	(4,112)
აკუმულირებული ზარალი		6,338	5,510
სულ კაპიტალი	2,226	1,398	677
აღებული სესხი	15	(8,429)	(8,264)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	(3,275)	(3,398)
ავანსები		(27)	(27)
გადასხდელი პროცენტები		(999)	(768)
სულ ვალდებულებები	(12,731)	(12,456)	(10,321)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	(10,505)	(11,058)	(9,644)

გამოსაქვეყნებლად დამკვიცვლია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
 ზურაბ ცანავა

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
 მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
 საქართველო, თბილისი

შპს დი და ჯი
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	(13,513)	(16,004)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	9,238	11,134
საერთო მოგება		(4,275)	(4,870)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	255	405
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	3,632	4,129
ფინანსური ხარჯი		1,048	1,152
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	9	135	61
სხვა არასაოპერაციო ზარალი		34	(157)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე		828	721
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის ზარალი		828	721

გამოსაქვეყნებლად დამკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
 ზურაბ ცანავა

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
 მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
 საქართველო, თბილისი

შპს დი და ჯი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2017	4,112	(4,789)	(677)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(721)	(721)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	4,112	(5,510)	(1,398)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(828)	(828)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	4,112	(6,338)	(2,226)

გამოსაქვეყნებლად დამკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
 ზურაბ ცანავა

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
 მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
 საქართველო, თბილისი

შპს დი და ჯი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	2018	2017
მოგება გადასახადების მერე	(828)	(721)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	345	332
საკუროსო ზარალი/მოგება	135	61
საპროცენტო ხარჯი	1,048	1,152
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	700	824
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/ზრდა	(117)	3
წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა	(105)	2
მარაგების ზრდა/შემცირება	873	(1,528)
საგადასახადო მოთხოვნების შემცირება/ზრდა	(228)	90
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(227)	250
მიღებული ავანსების ზრდა	-	1
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	896	(358)
გადახდილი პროცენტი	(817)	(992)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	79	(1,350)
შემოდინებული ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები, წმინდა	(62)	(195)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(69)	(31)
გაცემული სესხი	(100)	(0)
გამოყენებული ფული საინვესტიციო საქმიანობაში	(231)	(226)
ფულის ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღებით მიღებული თანხები	934	7,942
სესხების გადახდა	(768)	(6,218)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული	166	1,724
წმინა ცვლილება ფულის და ფულის ექვივალენტებში	14	148
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის დასაწყისში	232	149
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროსო სხვაობის ეფექტი	(30)	(65)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის ბოლოს	216	232

გამოსაქვეყნებლად დამკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ ცანავა

2019 წლის 11 დეკემბერი

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მამუკა საბაშვილი

საქართველო, თბილისი

1. შპს დი და ჯი და მისი საქმიანობა

შპს დი და ჯი 1999 წელს დაარსდა და უკვე ათწლეულზე მეტია, რაც ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე, მან განვითარების საკმაოდ ბევრი ეტაპი განვლო დაარსებიდან დღემდე. დანიურ სახლს აქვს არაერთ მოწინავე ევროპელ მწარმოებელთან კავშირი და თანამშრომლობა. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჩინეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ავეჯის, ტექსტილის, საყოფაცხოვრებო ნივთების, საოფისე ავეჯისა და სხვადასხვა აქსესუარის იმპორტი და რეალიზაცია. შპს დი და ჯი წლების მანძილზე სთავაზობს მომხმარებლებს თანამედროვე და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ასორტიმენტს და მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ ყველაფერი თავიანთი სახლისთვის.

დღესდღეობით, საქართველოში წარმოდგენილია დანიური სახლის 7 ფილიალი. კერძოდ, 4- თბილისში, ხოლო 3- ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში. თუმცა დანიური სახლი მომავალში გეგმავს მოიცვას სხვა რეგიონებიც. კომპანიას ასევე აქვს ხვადასხვა აქცია და შემოთავაზება, როგორებიცაა პროდუქციის უფასო მიტანისა და აწყობის სერვისი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 60% წილის მფლობელი იყო საქართველოს მოქალაქე ბატონი დავით ოტიაშვილი, ხოლო 40% -ს შპს „გეო იმპექსი“.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 160 კაცს

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

2018 წელს მიღებული იქნა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და შესაბამისი განმარტებები).

კომპანიამ ფასს 15 და ფასს 9 პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ბუნება და ეფექტი ახსნილია ქვემოთ.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება: გაუფასურება; და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ ფასს 9 გამოიყენა პროსპექტიულად, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით, საწყისი გამოყენების თარიღით - 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიამ შეჯამებითი ინფორმაცია არ გადააფასა და კვლავაც უჩვენებს მას ბასს 39-ის შესაბამისად. კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ შეცვლილა ამ თარიღის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნათა ნაშთზე უმნიშვნელო ეფექტის გამო.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად შეიცვალა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების ზარალის აღრიცხვის წესი, რადგან ბასს 39-ის გაწეული ზარალის მიდგომა ჩანაცვლდა ფორვარდული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსზ) მიდგომით. ფასს 9-ის თანახმად, კომპანია ვალდებულია, მსზ-ის რეზერვი აღიაროს ყველა ფინანსურ აქტივზე, რომელიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული მოგება-ზარალში და სახელშეკრულებო აქტივებში. ფლობილი ფინანსური აქტივების მარტივი ბუნებიდან გამომდინარე, კომპანია გაუფასურებას ანგარიშობს გამარტივებული მიდგომით, მთლიან საბალანსო ღირებულებაზე მსზ-ის გამოყენებით.

საბანკო ნაშთების შეფასებით, მათზე თითოეულ საანგარიშო თარიღში დაბალი საკრედიტო რისკი მოქმედებს, რადგან ნაშთები მაღალი რეპუტაციის საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებშია განთავსებული.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს სტანდარტს ბასს 18 - შემოსავლები და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული

ხელშეკრულებებიდან მიიღება. სტანდარტი გვთავაზობს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების ხუთეტაპიან მოდელს და მოითხოვს, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს იმ ოდენობით, რომელიც ასახულია კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელი ანაზღაურების ოდენობა.

ფასს 15 კომპანიებს ავალდებულებს, გამოიყენონ დასკვნებზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის შესრულების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. გარდა ამისა, სტანდარტი ვრცელ განმარტებებსაც მოითხოვს.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანიამ ამონაგების ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც ამონაგების აღიარებაზე ვრცელდება:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანსაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანსაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) კომპანია საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანია ამონაგებს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა.

კომპანიაში ფასს 15-ის პირველი გამოყენების თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიამ სტანდარტი გამოიყენა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდით. მის ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა არ ჰქონია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა1;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები2;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით1;
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში3;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი1;
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ბენეფიტები3;
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა4;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში5.

1. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის რეტროსპექტიულად, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
4. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტიული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად გადაფასების გარეშე;
5. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ების გამოყენება ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გარდა შემდეგი სტანდარტებისა:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ ამჟამად მოქმედ პრინციპებს, მათ შორის ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში, კომპანიას ასეთი არ აქვს. ხოლო ისეთ შემთხვევაში, სადაც კომპანია მოქმედებს, როგორც მოიჯარე (როგორც საოპერაციო, აგრეთვე ფინანსურ იჯარაში), კომპანიის მენეჯმენტის აზრით, ფასს 16-ის გამოყენება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური ანალიზის გარეშე ფასს 16-ის ეფექტის სათანადოდ შეფასება შეუძლებელია, სანამ დეტალური მიმოხილვა არ დასრულდება.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდა უარყოფითი ანაზღაურების მახასიათებლებით

ფასს 9-ის შესწორება განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდევ. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 9-ის შესწორების გამოყენება საგრძნობ ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2018 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2018 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-

ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, აღებულ სესხებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფასიკ 23 გვთავაზობს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს:

- განსაზღვრონ, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და
- შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დამუშავების წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში:
 - თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დამუშავებასთან თანმიმდევრულად.
 - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე („ფასს“) სრულად გადასვლის მიზნით.

ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც ძალაში იქნება როდესაც კომპანია მოამზადებს თავის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება შესაძლოა მოითხოვდეს კორექტირებებს აღნიშნულ წინასწარ ანგარიშგებაში საბოლოო ფასს ფინანსური ანგარიშგებების შედგენამდე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ვინაიდან კომპანია პირველად იღებს ფასს-ს, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფულადი სახსრების მოძრაობის და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში და ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებულ შენიშვნებში არ არის წინა პერიოდის შედარებითი მაჩვენებლები. შესაბამისად წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგება არ ითვლება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ქვემოთ წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი სახეობები. პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უწყვეტი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე 640 ათასით ნაკლები იყო, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 451 ათასი ლარით აჭარბებდა. ამავე პერიოდებისთვის კომპანიის აქვს აკუმულირებული ზარალები 6,338 და 5,510 შესაბამისად. ეს იწვევს არსებით უზუსტობას კომპანიის შესაძლებლობასთან რომ გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მიუხედავად ამისა, მენეჯმენტის აზრით ფინანსური ანგარიშგებები უნდა მომზადდეს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ამ მოსაზრების ადეკვატურობას ამყარებს შემდეგი ფაქტორები:

2018 წელს კომპანიას ჰქონდა დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 79 ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, კომპანია გეგმავს აღებული სესხების პირობების გადასინჯვას, მისთვის ხელსაყრელი პირობებით. ასევე კომპანიის მომავალ გეგმებში შედის არსებული შენობების რეალიზაცია და შემდგომ იჯარით აღება რაც იძლევა დამატებითი დაფინანსების საშუალებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და ოპერირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად მკაფიოდ არის მითითებული.

ისტორიული ღირებულება ეფუძნება საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება ტრანზაქციებს აქციებზე დაფუძნებულ გადახდით, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, საიჯარო ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და ისეთ ღირებულებებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ არ არის სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, ბასს 2-ით გათვალისწინებული წმინდა რეალიზებადი ღირებულება ან ბასს 36-ით გათვალისწინებული გამოყენებული ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს ;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის ; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის დამფუძნებლის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვეთება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი ;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს ;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია ;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია ; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკუროსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა:

- უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების საკუროსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება მშენებლობის პროცესში მყოფ, მომავალში საწარმოო გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც შედის იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება ;
- ისეთი უცხოური ოპერაციების გამო მისაღები ან გადასახდელი ფულადი სახსრების საკუროსო სხვაობებისა, რომელთა ანგარიშსწორება არც იგეგმება და არც სავარაუდოა (რის გამოც ისინი შეადგენს წმინდა ინვესტიციას უცხოურ ოპერაციებში) და რომლებიც თავდაპირველად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და კაპიტალიდან მოგება-ზარალში რეკლასიფიცირდება ფულადი სახსრების დაბრუნების შემდეგ.

უცხოური ოპერაციების შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი და შემენილი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების კორექტირებები განიხილება როგორც უცხოური ვალუტის აქტივები და ვალდებულებები და კონვერტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსით. საკუროსო სხვაობები აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
GEL/1 US Dollar	2.6766	2.5922	2.6468
GEL/1 Euro	3.0701	3.1044	2.7940

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება ;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან ;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა ; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

შენობები	20 წელი
კომპიუტერები და ელ. მოწყობილობები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	5 წელი

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაგარაუდვეი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI) “. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და ოპერაცია მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას მომსახურების მიმწოდებლებისა და დილერებისგან. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს ბანკებში, ტრანზიტში მყოფ ფულს, დეპოზიტებსა და გასაყიდ ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არამეკავშირე მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალსე ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის თანახმად მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის თუ კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული სხვა კრედიტის გამამლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

მსზ-ის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც მომდევნო 12-თვიან პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (12-თვიანი მსზ). ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც რისკის პოზიციის მთლიანი არსებობის მანძილზე შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (მსზ არსებობის მანძილზე). კომპანია 12-თვიან მსზ-ს აღიარებს ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში.

სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსზ-ის გამოსათვლელად გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად ზარალის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. კომპანიას აქვს რეზერვების მატრიცა, რომელიც ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და კორექტირდება ფორვარდული, მსესხებელთა და ეკონომიკური გარემოსათვის სპეციფიური ფაქტორებით.

მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ საწყისი აღიარების შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა ზედმეტ ხარჯსა და ძალისხმევას მოითხოვს. კომპანიამ განსაზღვრა სრული მსზ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსზ, რომელიც მიიღებოდა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ციკლის განმავლობაში (მე-2 და მე-3 ეტაპები). დეფოლტის ალბათობის დასადგენად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. მსზ-ის ოდენობა სხვა მოთხოვნებზე გამოითვლება ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების

გამოყენებით. საექსპერტო შეფასების აუცილებლობა მართებულად ჩაითვალია ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც საშუალებას მისცემდა კომპანიას, შეექმნა რეზერვების მატრიცა. გაუფასურების განაკვეთები პერიოდის მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომლის ამოღება, კომპანიის აზრით, შეუძლებელია - ანუ ამოუღებადია.

ყველა შემთხვევაში, კომპანია თვლის, რომ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალის ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან კაპიტალის ინსტრუმენტად

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და კაპიტალის ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალის ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

კაპიტალის ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის კაპიტალის ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა ხილული მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ ხილულ საბაზრო მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები

დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სესხის აღების ხარჯები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ისეთი კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან დამზადებას, რომელთა გამზადებას მოსახმარად ან გასაყიდად დიდი დრო სჭირდება, ემატება ამ აქტივების თვითღირებულებას მანამდე, სანამ ეს აქტივები არსებითად არ გამზადდება დაგეგმილი მოხმარების ან გაყიდვისათვის.

კვალიფიციურ აქტივებზე ისეთი კონკრეტული აღებული სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული საინვესტიციო შემოსავალი, რომელზეც გადახდები ჯერ არ დამდგარა, აკლდება საკაპიტალიზაციო სესხის აღების ხარჯებს.

სესხის აღების ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მთავრობის გრანტები

მთავრობისგან მიღებული გრანტების აღიარება არ ხდება მანამ, სანამ არ გაჩნდება იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს მათთან დაკავშირებული პირობების შესრულებას და არ მოხდება ამ თანხების მიღება.

მთავრობის გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატიურ საფუძველზე იმ პერიოდში, რომელშიც კომპანია გრანტის სამიზნე ხარჯებს აღიარებს.

მთავრობისგან აღებული, საბაზროზე დაბალგანაკვეთიანი სესხის სარგებელი განიხილება როგორც მთავრობის გრანტი და აისახება როგორც სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და სესხის სამართლიან ღირებულებას შორის მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გათვალისწინებით.

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #4, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა არასარწმუნოების სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება მენეჯმენტის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დამკვლეობა, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო.

ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ირიცხება ინდივიდუალური კლიენტის მოთხოვნის ამოღების ალბათობის მენეჯმენტის შეფასებას. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, გადახდების დეფოლტი ან გადახდისუუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთოვნა პოტენციურად გაუფასურებულია. თუ კლიენტის საკრედიტო ხარისხი გაუარესდა ან რეალური დეფოლტი უფრო მაღალია შეფასებულ ოდენობაზე, რეალური შედეგები შეფასებულისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმება შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. საგადასახადო ორგანოებმა კომპანიაში შეამოწმეს 2015-2018 წლები. თუმცა, კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია კომპანიისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

5. შემოსავალი

შემოსავალი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა:

	2018	2017
ჭურჭელი	4,146	3,471
ტექსტილი	3,825	5,194
ავეჯი	1,493	1,904
სხვა	1,169	2,666
აქსესუარები	961	409
სათამაშოები	865	1,172
ფეხსაცმელი	504	1,042
საკანცელარიო	550	145
სულ	13,513	16,004

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა:

	2018	2017
ჭურჭელი	2,671	1,924
ტექსტილი	2,630	3,577
ავეჯი	1,090	1,216
სხვა	1,295	282
აქსესუარები	534	263
სათამაშოები	583	736
ფეხსაცმელი	348	662
საკანცელარიო	87	2,474
სულ	9,238	11,134

7. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა:

	2018	2017
რეკლამის ხარჯები	53	198
მარკეტინგული მომსახურება	140	130
საწვავის ხარჯი	62	77
სულ	255	405

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	1,875	2,152
საიჯარო ქირა	861	1,019
ცვეთა და ამორტიზაცია	345	332
ბანკის მომსახურების საკომისიო	98	109
კომუნალური ხარჯები	198	151
სხვა საერთო ხარჯები	255	366
სულ	3,632	4,129

9. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა

მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა:

	2018	2017
დადებითი საკურსო სხვაობები	(697)	(2,409)
უარყოფითი საკურსო სხვაობები	832	2,470
სულ	135	61

10. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	შენობები	კომპიუტერები და ელექტრონული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2017	1,718	4,653	302	155	531	7,359
დამატება 2017			32	85	78	195
გაყიდვა 2017				16		16
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	1,718	4,653	334	224	609	7,538
დამატება 2018			7	-	91	98
გაყიდვა 2018			4	26	13	43
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	1,718	4,653	337	198	687	7,593
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2017	-	924	225	58	372	1,579
წლის დარიცხვა 2017		233	23	12	41	309
დაგროვილი ცვეთის გაუქმება		-		16		16
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	1,157	248	54	413	1,872
წლის დარიცხვა 2018		233	25	21	42	321
დაგროვილი ცვეთის გაუქმება		-	1		6	7
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	1,390	272	75	449	2,186
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2017	1,718	3,729	77	97	159	5,780
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	1,718	3,496	86	170	196	5,666
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	1,718	3,263	65	123	238	5,407

11. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ვადა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს სანა	11.00%	GEL	ვალდებულებების სრულად შესრულებამდე	101	-	-
გაცემული სესხის მოკლევადიანი ნაწილი				101	-	-
სულ გაცემული სესხი				101	-	-

სესხები გაიცემა კომპანასთან დაკავშირებული მხარის სუბიექტებზე. გაუფასურების ზარალი არ არის აღირებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

12. მარაგები

მარაგები 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მარაგები მაღაზიებში	3,886	4,729	3,252
ნედლეული და მასალები	108	138	87
	3,994	4,867	3,339

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	112	171	139
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	101	38	8
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	23	2
სულ	216	232	149

14. კაპიტალი

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალზე გავლენა მოახდინა აკუმულირებული ზარალის ცვლილებამ. 2018 და 2017 წლებში კომპანიას არ გაუცია დივიდენდი.

15. აღებული სესხები

2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი სესხების პირობები იყო:

	ვალუტა	ვადა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ბანკი ქართუ C129	GEL	მარ-24	4,305	4,305	-
სანა 01-02.03.2017	USD	მარ-24	1,361	1,318	-
ბანკი ქართუ C129	USD	მარ-24	737	728	-
ჭუმბურიძე თეო 09.11.2018	USD	აგვ-19	482	-	-
ბანკი ქართუ C131	EUR	აპრ-20	423	457	-
სანა 01-09.11.2017	GEL	მარ-24	399	404	-
გეო იმპექსი 26.04.2013	GEL	უვადო	250	250	250
ბანკი ქართუ C143	GEL	იან-19	250	-	-
ბანკი ქართუ C146	GEL	იან-19	150	-	-
გეო იმპექსი 20.02.2012	GEL	უვადო	72	72	140
ქართუ 01-07-65	GEL	უვადო	-	-	2,572
ქართუ 01-07-81	GEL	უვადო	-	-	2,166
გეო იმპექსი 20.03.2012	GEL	უვადო	-	-	8
C116	USD	უვადო	-	-	280
C137	EUR	იან-18	-	230	-
C109	USD	აპრ-17	-	-	265
C121	USD	დეკ-18	-	-	860
C138	GEL	იან-18	-	500	-

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო გადასახდელები	3,274	3,321	3,140
მარაგებზე და მომსახურებაზე:			
ხელფასი	1	76	8
სხვა	-	-	-
	3,275	3,397	3,148

17. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელების აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გაითვალისწინებულა.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი მუხლების არსებობის გამო, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის მენეჯმენტისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე დამატებითი გადასაადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შესაძლებელია საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშემშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

2018 და 2017 წლების განმავლობაში საქართველოს მეზობელი ქვეყნები, რომლებიც მისი მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან, სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიდნენ, რამაც თავისებური ეფექტი იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. ამან კი გამოიწვია ქართული ლარის არსებითი დევალვაცია აშშ დოლარისა და სხვა ძირითადი ვალუტების მიმართ.

საქართველოში ეკონომიკური სიტუაცია დიდწილად დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ გატარებულ ზომებზე, ეკონომიკის მომავალ მდგომარეობასა და დსთ-ის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ ეტაპზე მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგების განსაზღვრა რთულია.

18. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2018 წელს, კომპანიას ჰქონდა ბალანსები და გარიგებები შემდეგ დაკავშირებულ მხარეებთან:

	მფლობელი	მენეჯმენტი	სულ
ხელფასი	120	96	217
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	5	4	9
მივლინების ხარჯები	4	4	8

2017 წელს, კომპანიას ჰქონდა ბალანსები და გარიგებები შემდეგ დაკავშირებულ მხარეებთან:

	მფლობელი	მენეჯმენტი	სულ
ხელფასი	137	12	269
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	84	3	87
მივლინების ხარჯები	29	1	30

ასევე, კომპანიას ჰქონდა აღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,683 , 1,640 და 398 ათასი ლარით შესაბამისად.

19. ფინანსური ინსტრუმენტები

საბაზრო რისკი

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი ეკისრება. კომპანია ამ რისკების სამართავად წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს არ იყენებს.

ვალუტის გაცვლის რისკის მართვა

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

შპს დი და ჯი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	USD USD 1 = 2.6766 GEL	EUR EUR 1 = 3.0701
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43	12
ფული და ფულის ექვივალენტები	1	-
სულ ფინანსური აქტივები	44	12
ფინანსური ვალდებულებები		
აღებული სესხები	276	138
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	879	191
ავანსები	-	-
გადასახდელი პროცენტები	98	14
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,253	343
სულ წმინდა პოზიცია	(1,209)	(331)

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	USD USD 1 = 2.5922 GEL	EUR EUR 1 = 3.1044 GEL
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	2	5
სულ ფინანსური აქტივები	2	5
ფინანსური ვალდებულებები		
აღებული სესხები	789	351
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	696	84
ავანსები	-	-
გადასახდელი პროცენტები	43	1
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,528	436
სულ წმინდა პოზიცია	(1,526)	(431)

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	USD USD 1 = 2.6468 GEL	EUR EUR 1 = 2.7940 GEL
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	1	-
სულ ფინანსური აქტივები	1	-
ფინანსური ვალდებულებები		
აღებული სესხები	531	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	779	81
ავანსები	-	-
გადასახდელი პროცენტები	2	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,312	81
სულ წმინდა პოზიცია	(1,311)	(81)

ვალუტის გაცვლის რისკის მართვა

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს:

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გამოყენებული სავალუტო კურსების მიმართ:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL - 20%
მოგება/(ზარალი) გადასახადებამდე	(647)	647	(203)	203

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს მენეჯმენტი აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ქვემოთ მოცემულია ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი:

ა) ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი ვადა, რომელიც გამოანგარიშებულია ფინანსურ ვალდებულებებზე (ძირითადი თანხა და პროცენტი) არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით უახლოესი თარიღისათვის, როდესაც კომპანიას ვალდებულების დაფარვა მოეთხოვება;

ბ) ფინანსური აქტივების შეფასებული დარჩენილი ვადა, რომელიც გამოანგარიშებულია ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით უახლოესი თარიღისათვის, რომლებიც კომპანიამ უნდა მიიღოს ამ აქტივებზე ვადიანობის საკონტრაქტო პირობების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპანიის აზრით, ფულადი ნაკადების შემოძინება სხვა დროს მოხდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთისა და ლიკვიდობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასების მიხედვით. ინფორმაცია ეფუძნება კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ შიდა ანგარიშებით მიღებულ მონაცემებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 წელი და მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3 275	-	3 275
აღებული სესხები	400	8 029	8 429
	3 675	8 029	11 704

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 წელი და მეტი	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3 398	0	3 398
აღებული სესხები	730	7 504	8 264
	4 128	7 504	11 662

საპროცენტო რისკის მართვა

კომპანიაზე მოქმედებს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან კომპანიას აღებული აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხები.

კომპანიაზე მოქმედი, ფინანსური აქტივებისა და ფინანსურ ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის რისკი აღწერილია ამ შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ნაწილში.

მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არაწარმოებული ინსტრუმენტებისათვის საპროცენტო განაკვეთების რისკების მიხედვით. უმაღლესი მენეჯმენტისათვის

მომზადებულ ანგარიშებში გამოიყენება რისკის 1%-იანი ზრდა ან კლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მენეჯმენტი ასე აფასებს საპროცენტო განაკვეთების გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ ცვლილებას.

ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში საპროცენტო განაკვეთების 1%-იანი ზრდის/კლების შემთხვევაში:

- კომპანიის 2018 წლის მოგება შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 44 ათასი ლარით (2017: ზრდა/კლება 49 ათასი ლარით). ეს ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთებზე კომპანიის დამოკიდებულებით ცვლადგანაკვეთიანი სესხების გამო.

20. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ კომპანიამ დაამატა ფილიალი თბილისში, ვაჟა ფშაველას 70-ში. ასევე აიღო ახალი სესხი 1,656 ათასი ლარის ოდენობით.

კომპანიას 2019 წელს დივიდენდი არ გაუცია.

მმართველობის ანგარიშგება
შპს დი და ჯი



2019 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, საკადრო პოლიტიკა, განვლილი მიღწევები, სამომავლო გეგმები და გამოწვევები. ამასთან ერთად გიზიარებთ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან საკმაოდ მნიშვნელოვან სირთულეებს კომპანიის ოპერირებისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის აღწერა

შპს “დი და ჯი“ დაფუძნდა 1999 წელს, რომელიც ქართველი მომხმარებლებისთვის ცნობილია სახელით „დანიური სახლი“. კომპანია დაახლოებით ოცი წელია რაც ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე. მან განვითარების საკმაოდ ბევრი ეტაპი განვლო დაარსების დღიდან. დანიურ სახლს აქვს არაერთ მოწინავე ევროპელ მწარმოებელთან კავშირი და თანამშრომლობა. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჩინეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ავეჯის, ტექსტილის, საყოფაცხოვრებო ნივთების, საოფისე ავეჯისა და სხვადასხვა აქსესუარის იმპორტი და რეალიზაცია. „დანიური სახლი“ წლების მანძილზე სთავაზობს მომხმარებლებს

შპს დი და ჯი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანამედროვე, ხარისხიანი და ამავე დროს ბიუჯეტური პროდუქციის ასორტიმენტს. მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ ყველაფერი თავიანთი სახლისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% -იანი წილის მფლობელები არიან:

- დავით ოტიაშვილი - 60%
- შპს გეო იმპექსი - 40%


2019 წელს კი შპს „დი და ჯი“-ს 100% წილის მფლობელი გახდა დავით ოტიაშვილი.

დანიური სახლი საკუთარი მმართველობის ქვეშ საქართველოში აერთიანებს 7 ფილიალს და ასევე 4 ფილიალით არის წარმოდგენილი რეგიონებში ფრენჩაიზ ხელშეკრულების პირობით.

საკუთარი მმართველობის ქვეშ არსებული ფილიალები:

- თბილისი - რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი 2, სავაჭრო ცენტრი „თბილისი ცენტრალი“;
- თბილისი - ვაჟა ფშაველას 70, სავაჭრო ცენტრი „სითი მოლი“;
- თბილისი - ხიზაბაგრის 1, სავაჭრო ცენტრი „გლდანი სითი მოლი“;
- თბილისი - კალოუბნის 1;
- თბილისი - კოსტავას 70;
- ქუთაისი - ზ. გამსახურდიას 30;
- რუსთავი - ნიკო ლომოურის მიმდებარე ტერიტორია;
- ბათუმი - ზუბალაშვილის 7.

ფრენჩაიზის ფილიალები წამოდგენილია შემდეგ ქალაქებში: გორი, თელავი ზუგდიდი და ოზურგეთი. ქვედა გრაფიკზე ასახულია დანიური სახლის ფილიალების გახსნის დინამიკა წლების მიხედვით:




სამომავლო მიზნები

- ქართულ ბაზარზე პოზიციონირების გამყარება;
- ქსელის გაფართოვება;
- მომხმარებლებზე ორიენტირებულობის გაძლიერება;
- ასორტიმენტის ოპტიმიზაცია;

- ზოგიერთი კატეგორიის გაფართოვება;
- ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია;

კომპანიის სტრუქტურა

დანიური სახლის ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს მართვის თანამედროვე პრინციპებს. ის მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. ნებისმიერი სამსახურისთვის ცაკლე ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური, მატერიალური თუ დროის რესურსი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 160 თანამშრომელი. ორგანიზაციული სტრუქტურა კი ასე გამოიყურება:



სოციალური პასუხისმგებლობა

დანიური სახლის მთავარ ფასეულობას წარმოადგენს მომსახურება, ხელმისაწვდომობა და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

დანიური სახლი თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. კომპანია მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს. მაღალია პერსონალის ჩართულობა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და ეფექტურობის ამაღლებას.

ჩვენი გუნდი

დანიურ სახლში დასაქმებულია 160 თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მოწესრიგებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად

წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისთვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა. კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც, ნათლად მიუთითებს კომპანიის შინაგანაწესი.

რისკები და გამოწვევები

კანონთან შესაბამისობა

საქართველოს ეკონომიკა არის განვითარებადი, შესაბამისად კანონმდებლობაც პერიოდულად იცვლება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ცალკეულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ხარჯების ზრდაც. გამომდინარე აქედან კომპანია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ყოველი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგს. იურიდიული და ფინანსური დეპარტამენტები კონსულტანტებთან ერთად უწყვეტ მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და აკონტროლებენ მასთან შესაბამისობას.


კადრების დენადობა



კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრები. წარმატება დიდწილად დამოკიდებულია კვალიფიციურ პერსონალზე, მათი უნარების ამაღლებაზე და გრძელვადიან თანამშრომლობაზე. საცალო ბიზნესის საერთო პრობლემას წარმოადგენს კადრების დენადობა, რაც უარყოფითად მოქმედებს საოპერაციო საქმიანობაზე და ფინანსურ შედეგებზე. სწორედ ამიტომ ორგანიზაციაში შემუშავებულია საბონუსე სქემა ყველა დეპარტამენტისთვის, რასაც თავისი წვლილი შეაქვს გუნდურობის, მოტივაციისა და კორპორატიული სულისკვეთების ამაღლებაში.

მაკროეკონომიკური ფაქტორი


დანიურ სახლს მომწოდებლებთან ანგარიშწორება აქვს ევროსა და დოლარში. ასევე კომპანიის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს საიჯარო ქირას, ანგარიშსწორება კი ხდება დოლარის შესაბამისი კურსით ლარში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია არის დიდი სავალუტო რისკის წინაშე. დოლარსა და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება უარყოფითად იმოქმედებს როგორც ორგანიზაციის შემოსავლებზე ასევე ხარჯვით ნაწილზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები





სამუშაო კაპიტალი = მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები.



ლიკვიდობის კოეფიციენტი ასახავს რამდენად შეუძლია არსებული რესურსით კომპანიას მოკლე პერიოდში დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

შპს დი და ჯი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „დი და ჯი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოდგენილი ოპერაციების შედეგებს; ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე, და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.


შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ დაგვა


შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მამუკა სამაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
საქართველო, თბილისი

შპს დი და ჯი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

კბრილიტში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	5,407	5,666
არამატერიალური აქტივები		132	89
გაცემული სესხები		100	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,639	5,754	5,857
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	3,994	4,867
საეკსპო და სხვა მოთხოვნები		306	189
წინასწარ გაწეული ხარჯები		106	1
საგადასახადო მოთხოვნები		244	16
ფული და ფულის ექვივალენტები	13	216	232
სულ მიმდინარე აქტივები	4,865	5,304	3,787
სულ აქტივები	10,504	11,058	9,644
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		(4,112)	(4,112)
აკუმულირებული ზარალი		6,338	5,510
სულ კაპიტალი	2,226	1,398	677
აღებული სესხი	15	(8,429)	(8,264)
საეკსპო და სხვა ვალდებულებები	16	(3,275)	(3,398)
ავანსები		(27)	(27)
გადასხდელი პროცენტები		(999)	(768)
სულ ვალდებულებები	(12,731)	(12,456)	(10,321)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	(10,505)	(11,058)	(9,644)

გამოსატყევენბლად დაშკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ ცანავა

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
საქართველო, თბილისი

შპს დი და ჯი
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	(13,513)	(16,004)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	9,238	11,134
საერთო მოგება		(4,275)	(4,870)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	255	405
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	3,632	4,129
ფინანსური ზარჯი		1,048	1,152
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	9	135	61
სხვა არასაოპერაციო ზარალი		34	(157)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე		828	721
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის ზარალი		828	721

გამოსატყვევნელად დამკვიცბულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.


 შპს დი და ჯის დირექტორი
 ზურაბ განჯავა


 შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
 მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
 საქართველო, თბილისი

6

შპს დი და ჯი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2017	4,112	(4,789)	(677)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(721)	(721)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	4,112	(5,510)	(1,398)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(828)	(828)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	4,112	(6,338)	(2,226)

გამოსაქვეყნებლად დაშკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.


შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ განჯგა


შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მახუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
საქართველო, თბილისი

შპს დი და ჯი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	2018	2017
მოგება გადასახადების შერე	(828)	(721)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	345	332
საკურსო ზარალი/მოგება	135	61
საპროცენტო ხარჯი	1,048	1,152
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	700	824
საეკსპო და სხვა მოთხოვნების შემცირება/ზრდა	(117)	3
წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა	(105)	2
მარაგების ზრდა/შემცირება	873	(1,528)
საგადასახადო მოთხოვნების შემცირება/ზრდა	(228)	90
საეკსპო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(227)	250
მიღებული ავანსების ზრდა	-	1
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	896	(358)
გადახდილი პროცენტი	(817)	(992)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	79	(1,350)
შემოდინებული ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები, წმინდა	(62)	(195)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(69)	(31)
გაცემული სესხი	(100)	(0)
გამოყენებული ფული საინვესტიციო საქმიანობაში	(231)	(226)
ფულის ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღებით მიღებული თანხები	934	7,942
სესხების გადახდა	(768)	(6,218)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული	166	1,724
წმინა ცვლილება ფულის და ფულის ექვივალენტებში	14	148
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის დასაწყისში	232	149
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(30)	(65)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის ბოლოს	216	232

გამოსატყეველად დამოწმებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.


შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ ცანაფა


2019 წლის 11 დეკემბერი


შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მამუკა საბაშვილი

საქართველო, თბილისი

მმართველობის ანგარიშგება

შპს დი და ჯი



2019 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, საკადრო პოლიტიკა, განვლილი მიღწევები, სამომავლო გეგმები და გამოწვევები. ამასთან ერთად გიზიარებთ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან საკმაოდ მნიშვნელოვან სირთულეებს კომპანიის ოპერირებისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის აღწერა

შპს "დი და ჯი" დაფუძნდა 1999 წელს, რომელიც ქართველი მომხმარებლებისთვის ცნობილია სახელით „დანიური სახლი“. კომპანია დაახლოებით ოცი წელია რაც ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე. მან განვითარების საკმაოდ ბევრი ეტაპი განვლო დაარსების დღიდან. დანიურ სახლს აქვს არაერთ მოწინავე ევროპულ მწარმოებელთან კავშირი და თანამშრომლობა. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჩინეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ავეჯის, ტექსტილის, საყოფაცხოვრებო ნივთების, საოფისე ავეჯისა და სხვადასხვა აქსესუარის იმპორტი და რეალიზაცია. „დანიური სახლი“ წლების მანძილზე სთავაზობს მომხმარებლებს თანამედროვე, ხარისხიანი და ამავე დროს ბიუჯეტური პროდუქციის ასორტიმენტს. მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ ყველაფერი თავიანთი სახლისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% -იანი წილის მფლობელები არიან:

- დავით ოტიაშვილი - 60%
- შპს გეო იმპექსი - 40%

2019 წელს კი შპს „დი და ჯი“-ს 100% წილის მფლობელი გახდა დავით ოტიაშვილი.

დანიური სახლი საკუთარი მმართველობის ქვეშ საქართველოში აერთიანებს 8 ფილიალს და ასევე 4 ფილიალით არის წარმოდგენილი რეგიონებში ფრენჩაიზ ხელშეკრულების პირობით.


საკუთარი მმართველობის ქვეშ არსებული ფილიალები:

- თბილისი - რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი 2, სავაჭრო ცენტრი „თბილისი ცენტრალი“;
- თბილისი - ვაჟა ფშაველას 70, სავაჭრო ცენტრი „სითი მოლი“;
- თბილისი - ხიზაბავრის I, სავაჭრო ცენტრი „გლდანი სითი მოლი“;
- თბილისი - კალოუბნის I;
- თბილისი - კოსტავას 70;
- ქუთაისი - ზ. გამსახურდიას 30;
- რუსთავი - ნიკო ლომოურის მიმდებარე ტერიტორია;
- ბათუმი - ზუბალაშვილის 7.

ფრენჩაიზის ფილიალები წამორდგენილია შემდეგ ქალაქებში: გორი, თელავი ზუგდიდი და ოზურგეთი.

ქვედა გრაფიკზე ასახულია დანიური სახლის ფილიალების გახსნის დინამიკა წლების მიხედვით:

ფილიალები ფრენჩაიზის ჩათვლით




სამომავლო მიზნები

- ქართულ ბაზარზე პოზიციონირების გამყარება;
- ქსელის გაფართოვება;
- მომხმარებლებზე ორიენტირებულობის გაძლიერება;
- ასორტიმენტის ოპტიმიზაცია;
- ზოგიერთი კატეგორიის გაფართოვება;
- ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია;

კომპანიის სტრუქტურა

დანიური სახლის ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს მართვის თანამედროვე პრინციპებს, ის მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. ნებისმიერი სამსახურისთვის ცაკლე ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური, მატერიალური თუ დროის რესურსი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 160 თანამშრომელი. ორგანიზაციული სტრუქტურა კი ასე გამოიყურება:



სოციალური პასუხისმგებლობა

დანიური სახლის მთავარ ფასეულობას წარმოადგენს მომსახურება, ხელმისაწვდომობა და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

დანიური სახლი თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. კომპანია მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს. მაღალია პერსონალის ჩართულობა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და ეფექტურობის ამაღლებას.

ჩვენი გუნდი

დანიურ სახლში დასაქმებულია 160 თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მოწესრიგებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისთვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა. კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც, ნათლად მოუთხოვთ კომპანიის შინაგანაწესი.

რისკები და გამოწვევები

კანონთან შესაბამისობა

საქართველოს ეკონომიკა არის განვითარებადი, შესაბამისად კანონმდებლობაც პერიოდულად იცვლება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ცალკეულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ბარჯების ზრდაც. გამომდინარე აქედან კომპანია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ყოველი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგს. იურიდიული და ფინანსური დეპარტამენტები კონსულტანტებთან ერთად უწყვეტ მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და აკონტროლებენ მასთან შესაბამისობას.

კადრების დენადობა

კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრები. წარმატება დიდწილად დამოკიდებულია კვალიფიციურ პერსონალზე, მათი უნარების ამაღლებაზე და გრძელვადიან თანამშრომლობაზე. საცალო ბიზნესის საერთო პრობლემას წარმოადგენს კადრების დენადობა, რაც უარყოფითად მოქმედებს საოპერაციო საქმიანობაზე და ფინანსურ შედეგებზე. სწორედ ამიტომ ორგანიზაციაში შემუშავებულია საბონუსო სქემა ყველა დეპარტამენტისთვის, რასაც თავისი წვლილი შეაქვს გუნდურობის, მოტივაციისა და კორპორატიული სულისკეთების ამაღლებაში.

მაკროეკონომიკური ფაქტორი

დანიურ სახლს მომწოდებლებთან ანგარიშსწორება აქვს ევროსა და დოლარში. ასევე კომპანიის ბარჯებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს საიჯარო ქირას, ანგარიშსწორება კი ხდება დოლარის შესაბამისი კურსით ლარში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია არის დიდი სავალუტო რისკის წინაშე.

დოლარსა და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება უარყოფითად იმოქმედებს როგორც ორგანიზაციის შემოსავლებზე ასევე ხარჯვით ნაწილზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


რეალიზაცია დღ-ს გარეშე ('000)



მომგებიანობის მარჯა




სამუშაო კაპიტალი ('000)



სამუშაო კაპიტალი = მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი



ლიკვიდობის კოეფიციენტი ასახავს რამდენად შეუძლია არსებული რესურსით კომპანიას მოკლე პერიოდში დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

გამოსაქვეყნებლად დამკვიცბულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 11 დეკემბერს.

შპს დი და ჯის დირექტორი
ზურაბ ცანავა

შპს დი და ჯის ფინანსური მენეჯერი
მამუკა საბაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი.

საქართველო, თბილისი

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს "ემუარენს ენდ ქონსალტინგ გრუპ"-ის სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2019 წლის 11 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

